ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2819212

ნომერი: AR1432210

თარიღი : 15.08.2016

გაცემის თარიღი : 06.09.2016

გაცნობის თარიღი : 07.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბებუა პ/ნ 62006031480
- გალი ვეკუას ქ. N 43

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1978681
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.07.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 03/08/2016წ. №ბ–253031/07 ბრძანებაში დაფიქსირებულია, რომ გაუქმებულია შეთანხმებული პროექტით შშმ პირთა გადაადგილებისათვის გათვალისწინებული პანდუსი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან და 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილებასთან შეუსაბამობაშია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.

თქვენი მხრიდან ზემოაღნიშნული ხარვეზის გასწორებისა (უნდა მოაწყოთ შშმ პირთა პანდუსი ან ალტერნატიული საშუალება 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი"-ს შესაბამისად - ნახაზის თანდართვით - პანდუსის ნიშნულებისა და გაბარიტების მითითებით) და შემდგომ ზედამხედველობის საქალაქო სასახურის ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემთხვევაში სამსახური განმეორებით დაუბრუნდება საკითხის განხილვას.

საკითის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.